ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №31

19 ოქტომბერი 2023 წელი

12:00 საათი

ა/წ 19 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს დირექტორი გოჩა მინდიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე

სხდომის დღის წესრიგი:

- ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოს 2023 წლის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს დირექტორი გოჩა მინდიაშვილმა წარადგინა ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს მიერ შესრულებული სამუშაოს 2023 წლის ანგარიში.

2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა სულ 181 -მა მიუსაფარმა პირმა. მათგან, ქალი - 64 და მამაკაცი - 117.

<u>30 სექტემბრის მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ირიცხებოდა 106 ბენეფიციარი: 47 ქალი და 59 მამაკაცი.</u>

საანგარიშო პერიოდში თავშესაფარში ჩაირიცხა 80 ახალი ბენეფიციარი: 18 - ქალი; 62 - მამაკაცი *(განმეორებით მოგვმართა და ჩაირიცხა 30. მათ შორის: მეორედ - 19; მესამედ - 3; მეოთხედ - 5; მეხუთედ - 2; მეცხრედ - 1 ბენეფიციარი).* თავშესაფარში ცხოვრების ვადა გაუგრძელდა 31 ბენეფიციარს.

საანგარიშო პერიოდში თავშესაფრიდან ამოირიცხა/გაირიცხა 78 ბენეფიციარი; ქალი - 16; კაცი - 62.

კერძოდ:

- პირადი განცხადების საფუძველზე - 36 ბენეფიციარი;
- ალკოჰოლის განმეორებით მიღების გამო - 8 ბენეფიციარი;
- თავშესაფრის თვითნებურად დატოვების გამო - 21 ბენეფიციარი;
- დებოშისა და შინაგანაწესის დარღვევის გამო - 2 ბენეფიციარი;
- გარდაცვალების გამო - 7 ბენეფიციარი (მათ შორის 4 - ,,წმ. მამა გაბრიელის სახელობის პალიატიური ჰოსპისი"-ში; 2 - კლინიკაში; 1 - თავშესაფარში);
- სამკურნალო დაწესებულებიდან გაიყვანა ოჯახის წევრმა - 1 ბენეფიციარი;
- სათემო ორგანიზაციაში გადაყვანილი - 1 ბენეფიციარი;
- ,,წმ. მამა გაბრიელის სახელობის პალიატიური ჰოსპისი"-დან პირადი განცხადებით გავიდა 2 ბენეფიციარი.

2023 წელს, 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში ,,წმ. მამა გაბრიელის სახელობის პალიატიურ ჰოსპისი"-ში გადაყვანილი იქნა - 7 ბენეფიციარი (ქალი - 3; კაცი - 4); ონკო-პალიატიურ დაწესებულებაში - 1 ბენეფიციარი (რომელიც დაწესებულებაში გადაყვანილი იქნა 2022 წელს და 2023 წლის 1 მარტამდე უტარდებოდა მკურნალობა).

საანგარიშო პერიოდში, თავშესაფარში ჩარიცხვაზე უარი ეთქვა 51 ბენეფიციარს (ქალი - 23; კაცი - 28)

კერძოდ:

- მათზე რეგისტრირებული ქონების გამო - 1 შემთხვევა;
- თავშესაფარში მოსვლის მომენტისთვის ალკოჰოლური ზემოქმედების გამო - 4 შემთხვევა;
- ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო (მათ შორის თვითმოვლის უნარების არ ქონა) - 5 შემთხვევა;
- ჯანმრთელობის ფორმა #100-ის წარდგენის მოთხოვნა - 1 შემთხვევა;
- მეტადონის პროგრამაში ჩართული - 1 შემთხვევა;
- რეგისტრაციის ადგილი არ წარმოადგენდა თბილისს - 11 შემთხვევა;
- თავად განაცხადა უარი - 2 შემთხვევა;
- იმყოფება აღრიცხვაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში და უარს აცხადებდა დანიშნული მედიკამენტების მიღებაზე - 3 შემთხვევა;

- უსახლკარო პირის სტატუსის მქონე მოქალაქეებისთვის თავშესაფრის პირობების შეთავაზებაზე უარი - 17 შემთხვევა;
- გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლთა კახეთის კრიზისულ ცენტრში - 1 შემთხვევა;
- დევნილი - 2 შემთხვევა;
- გარიცხული ბენეფიციარის განმეორებითი მომართვა - 1 შემთხვევა;
- არ იყო საქართველოს მოქალაქე - 2 შემთხვევა;
- ამ პერიოდში უარის თქმის შემდგომ, განმეორებით მომართვისას თავშესაფარში ჩაირიცხა 2 მოქალაქე;
- 24 ხანდაზმულს ეთქვა უარი ჩარიცხვაზე; აქედან ჯანმრთელობის გამო - 5 შემთხვევა; მასზე რეგისტრირებული ქონების გამო - 1 შემთხვევა; უსახლკარო პირის სტატუსის მქონე მოქალაქეებისთვის თავშესაფრის პირობების შეთავაზებაზე უარი - 10 შემთხვევა; რეგისტრაციის ადგილი არ წარმოადგენდა თბილისს - 6 შემთხვევა; გარიცხული ბენეფიციარის განმეორებითი მომართვა - 1 შემთხვევა; ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ - 1 შემთხვევა.

მიზნობრივი ჯგუფები 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით:

- საანგარიშო პერიოდში ლილოს მიუსაფარ პირთა თავშესაფარში ირიცხებოდა 25 შშმ პირი (ქალი - 13; კაცი - 12). 30 სექტემბრის მდგომარეობით, თავშესაფარში ირიცხებოდა 24 შშმ პირი (ქალი - 10; კაცი - 14). მათგან, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 2 ბენეფიციარი; მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 22 ბენეფიციარი.
- საანგარიშო პერიოდში F23 *(ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა)* დადგენილი დიაგნოზით თავშესაფარში ირიცხებოდა 12 ბენეფიციარი (ქალი - 9; კაცი - 3); 30 სექტემბრის მდგომარეობით, ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში" აღრიცხვაზე იმყოფებოდა 11 ბენეფიციარი (ქალი - 9; კაცი - 2), რომლებიც სარგებლობდნენ სახელმწიფო პროგრამით.

პირველადი და განმეორებითი შშმ პირის სტატუსის მინიჭების მიზნით, ,,სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს" მივმართეთ 2 ბენეფიციარის თაობაზე, ორივე ბენეფიციარს დაუდგინდა და ერთი წლით მიენიჭა შშმ პირის შესაბამისი ჯგუფის სტატუსი.

- საანგარიშო პერიოდში, თავშესაფარში ირიცხებოდა 58 ხანდაზმული ბენეფიციარი (ქალი - 40; კაცი - 18. მათ შორის მარტოხელა ხანდაზმული იყო 10 ბენეფიციარი); 30 სექტემბრის მდგომარეობით, თავშესაფარში ირიცხებოდა 46 ხანდაზმული ბენეფიციარი (ქალი - 33; კაცი - 13);
- 30 სექტემბრის მდგომარეობით, თავშესაფარში ირიცხებოდა 29 ნასამართლევი ბენეფიციარი (ქალი - 1; კაცი - 28).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს", პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2022 წლიდან დღემდე გადმოეცა 88 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრისი. ხელშეკრულება გაფორმდა 78 ოჯახთან.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის #25-28 დადგენილების პირველი მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსახილველად

გადმოგზავნილი იყო 625 მოქალაქის განაცხადი; მათგან 116-მა მოქალაქემ უარი განაცხადა ლილოს მიუსაფარ პირთა თავშესაფრის სერვისით სარგებლობაზე; ერთი მოქალაქე გარდაცვლილია. 7-მა მოქალაქემ განაცხადა თანხმობა და ჩაირიცხა თავშესაფარში; თავშესაფრის ბენეფიციარია დღემდე - 9.

<u>თავშესაფრის ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფა:</u> 2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში თავშესაფრის ბენეფიციარებს, დღეში ორჯერადი კვების გათვალისწინებით, მიეწოდათ 51539 ბენეფიციარზე გათვლილი 163337 ლარის ღირებულების საკვები.

ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში განთავსებულია 53 ოჯახი (149 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 35 ოჯახი, 87 ბენეფიციარი. ხელშეკრულებით მცხოვრებ ბენეფიციარებს შორის არის ქალი - 42, კაცი - 25, არასრულწლოვანი - 20; შშმპ - 17; ხანდაზმული - 14; დევნილი - 19; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებულია 31 ოჯახი; ფულად შემწეობას ღებულობს 27 ოჯახი;
- ხელშეკრულების გარეშე (განაცხადი არ შეავსო): 8 ოჯახი, 27 მაცხოვრებელი. მათგან, ქალი - 11; კაცი - 8; არასრულწლოვანი - 8; შშმპ - 2; ხანდაზმული - 3; დევნილი - 5; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებულია 7 ოჯახი; ფულად შემწეობას ღებულობს 4 ოჯახი;

ორხევის სოციალურ საცხოვრისში განთავსებულია 74 ოჯახი (263 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 74 ოჯახი; 263 ბენეფიციარი. მათ შორის: ქალი - 116, კაცი - 72, არასრულწლოვანი - 75; შშმპ - 25; ხანდაზმული - 27; სოციალური ბაზაში რეგისტრირებულია 72 ოჯახი; ფულად შემწეობას ღებულობს 68 ოჯახი;
- ხელშეკრულების გარეშე ცხოვრობს 34 პირი, მათგან: კაცი - 10; ქალი - 7 და არასრულწლოვანი - 17;
- ხელშეკრულების მქონე, საცხოვრისში არმცხოვრებ ბენეფიცირთა რაოდენობა შეადგენს 58 -ს; ქალი - 22; კაცი - 19; არასრულწლოვანი - 17.

დიდი დიღმის სოციალურ საცხოვრისში განთავსებულია 24 ოჯახი (69 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 8 ოჯახი; 25 ბენეფიციარი; ხელშეკრულებით მცხოვრებ ბენეფიციარებს შორის: ქალი - 9, კაცი - 8, არასრულწლოვანი -8; შშმპ - 8; ხანდაზმული - 4; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებულია 8 ოჯახი; ფულად შემწეობას ღებულობს 8 ოჯახი.
- ხელშეკრულების გარეშე ცხოვრობს 16 ოჯახი. ბენეფიციარი: 44. მათგან, ქალი - 18, კაცი - 17, არასრულწლოვანი - 9; შშმპ - 5; ხანდაზმული - 5; დევნილი პირი - 3; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული - 16 ოჯახი; ფულად შემწეობას ღებულობს 14 ოჯახი;

ა/წ 19 ოქტომბრის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური საკითხების კომისიის სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ ლილოს თავშესაფარზე ისაუბრა. მისი თქმით, აღნიშნულ თავშესაფარში არსებული გარემო სტანდარტებთან შესაბამისობაშია და ბენეფიციართა საჭიროებებს მორგებულია. კომისიის თავმჯდომარემ აქცენტი გააკეთა თავშესაფარში მაცხოვრებელთა სრულფასოვან კვების მნიშვნელობაზე, აქვე ლილოს თავშესაფრის დირექტორმა გოჩა მინდიაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებული მენიუ დგება ბენეფიციართა მოთხოვნის გათვალისწინებით, ასევე მათივე მოთხოვნით შესაძლებელია მისი შეცვლა. კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები

დაინტერესდნენ თუ ამჟამად რამდენი ადამიანის მიღება შეუძლია ლილოს თავშესფარს. გოჩა მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე თავშესაფარს შეუძლია მიიღოს 240 ბენეფიციარი. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს შესთავაზა უახლოეს მომავალში ლილოს თავშესაფარში ერთობლივი ვიზიტის დაგეგმვა, ადგილზე საცხოვრებელი პირობების გასაცნობად და ბენეფიციართა მოსანახულებლად.

ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" 2023 წლის ცხრა თვის ანგარიში კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე